საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "19" 09 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1248/ბ

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 13 სექტემბერს N 22920 განცხადებით გრიგოლ დიდიას წარმომადგენელმა გიორგი თაქთაქიშვილმა (მის: ტბეთის ქ. N9, ბინა 22, ბათუმი) მოითხოვა გამოსახულებით სასაქონლო ნიშანზე (რეგ. N 2290) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანი (რეგ. N 22920) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 30.08.2012 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 30.08.2022 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-3 და მე-8 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოსახულებით სასაქონლო ნიშანზე

(რეგ. N 22920) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 362), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 19.09.2013.

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; გრიგოლ დიდიას წარმომადგენელს გიორგი თაქთაქიშვილს (მისამართი: ლუბლიანას ქ.11, მე-2 სადარბაზო, ოფისი 38, თბილისი 0159)

ასლი დედანთან სწორია
"19" 09 2013წ.
ხელმოწერა